




ხაშურის მთაშენი



№13 (194)

1 აპრილი, ორშაბათი,

2019 წელი

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია ზაფხულში დასრულდება

სოფელ ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დათვალაიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა და მერის



პირველმა მოადგილემ ზვიად ქურდაძემ. სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავეს. სამუშაოები სტანდარტების სრული დაცვით მიმდინარეობს.

„დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია გარკვეული დროის განმავლობაში, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო, შეჩერებული იყო, თუმცა, ახლა პროცესები კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობს და ზაფხულის მიწურულს მუზეუმი შექმნის დამთავალიერებელს უმასპინძლოს“. აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა.

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტი უმნიშვნელოვანესია როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, ასევე ტურიზმის განვითარების მხრივაც.

გომის საბავშვო ბაღში, ახალი სასწავლო წლიდან, აღსაზრდელების რაოდენობა გაიზრდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

შენობაში, რომლის მხოლოდ ნაწილი იყო გარემონტებული, ერთი სააღმზრდელო ჯგუფი ფუნქციონირებდა, სამუშაოების დასრულების შემდეგ კი შესაძლებელი გახდება ჯგუფის დამატება. გაიზრდება აღსაზრდელების რაოდენობა და დასაქმდება ახალი პერსონალი.

„ მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღებზე ზრუნვა ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი



მთავარი პრიორიტეტია. დღეისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტში პატარებს ემსახურება სრულად რეაბილიტირებული 18 საბავშვო ბაღი, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის დროის კი მხოლოდ ერთი ბაღი იყო რეაბილიტირებული.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია გომის საბავშვო ბაღში ცენტრალური გათბობის მონტაჟიც, რაც ხელს შეუწყობს სააღმზრდელო პროცესის უკეთ წარმართვას.“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა ადგილზე მიმდინარე სამუშაოების დათვალაიერებისას.

მერთან ერთად, სააღმზრდელო დაწესებულების რეაბილიტაციის პროცესს აკვირდებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი და მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე.

სააღმზრდელო დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება და ჯამში 35 281 ლარი ჯდება.




- არქეოლოგია -

სტივ კელი: ეს ფაქტი თუ დადასტურდა, არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიას შეცვლის...

სტივ კელი, ცნობილი ინგლისელი ეგვიპტოლოგი, ერთი თვეა საქართველოშია. ჩვენი შეხვედრა და ეს მართლაც სენსაციური ინტერვიუ არც შედგებოდა, რომ არა სრულიად შემთხვევითი გარემოება. სოფელ დამხხეულელი ანზორ კურტანიძე რედაქციაში გვესტუმრა – სახლის გაყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნება უნდა დაგაზრდოს. საუბარში ახსენა, რომ თითქმის ერთი კვირა დამხხეულელში ქართველი და უცხოელი არქეოლოგები რაღაცას ეძებენ. ბუნებრივია, დავინტერესდით და სოფელში აღექსი ტაბატაძის სახლს ვესტუმრეთ, სადაც არქეოლოგებს ბინა აქვთ დადებული. ბატონი სტივი კატეგორიულად უარზე იყო ინტერვიუზე, თუმცა საბოლოოდ დაგვთანხმდა. გათვალისწინებულ ამ საუბრის ჩანაწერს და აქვე მადლობა გვინდა, ვუთხრათ საქართველოს არქეოლოგიური ცენტრის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, როინ კაკაურიძეს, რომლის დახმარების გარეშე ეს ინტერვიუ არ შედგებოდა.

– საქართველოში, ბატონი როინის მოწვევით, გასული წლის ზაფხულში ვიყავით. ვიმყოფებოდით ხვამლის მთაზე და მესხეთში. ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ. ერთ დღესაც, როდესაც მესხეთიდან ვბრუნდებოდით, ქვიშხეთის მთაწმინდა მოვინახულეთ, საოცარი ადგილია, ულამაზესი ხედი. იქ, ტაძრის მოძღვარმა, იმ მთების სახელები გვითხრა, რომელიც მთაწმინდიდან ჩანს – შუანო, ქარტა, ღორინამკალი... ჩვენი ყურადღება პატარა გორაკის დასახელებამ მიიპყრო – ანაგარა. საქმე ისაა, რომ ეგვიპტეში მეორე ათასწლეულის დინასტიის ფარაონთა შორის, ოთხი ფარაონის სახელია ანაგარა. აქედან, სამის – ანაგერ I, ანაგერ II და ანაგერ III-ის სამარხები აღმოჩენილია.



სურათზე: (წინა პლანზე) ანაგარა.

ანაგერ IV-ის კი -არა. სხვათაშორის, ეს ფარაონი ძველად-სილი ფარაონის – ანხეტემონ VII-ის მამა გახლდათ, რომლის დროსაც, ეგვიპტემ უზარმაზარი ტერიტორიები შემოიერთა წინა აზიაში თუ ახლო აღმოსავლეთში. მოკლედ, მასპინძლებს ვთხოვეთ, რომ უფრო ახლოს გვენახა ეს გორაკი. საოცარი ისაა, რომ ანაგარა, თრიალეთის ქედის განშტოებას, ერთგვარად

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

მოწყვეტილია, თითქოს ცალკეა ამოზრდილი. უფრო საოცრება კი წინ გველოდა, როდესაც იგი ახლოს ვნახეთ – მას აშკარად გამოხატული პირამიდის ფორმა აქვს. მცირე სამუშაოები მაშინვე ჩავატარეთ და ჩრდილოეთის მხრიდან, როდესაც ბუნქნარი გავწმინდეთ, აშკარად გამოჩნდა ძალიან დიდი მონოლითებით ნაგები კედელი. ეს იმდენად საოცრება იყო ჩვენთვის, რომ საუბრის უნარიც კი დაგვარგეთ. მოკლედ, სასწრაფოდ დავბრუნდით ინგლისში და ამის შესახებ „ნეიშენალ გეოგრაფიკში“ პატარა წერილიც გამოვაქვეყნეთ. ამ პატარა წერილმა პირდაპირ ბომბის როლი შეასრულა და ორ დღეში სამი უნივერსიტეტიდან მოგვივიდა წინადადება, რომ თუ ქართული მხარე თანახმა იქნებოდა, ისინი მზად იყვნენ, სრული არქეოლოგიური ესქპედიცია

– არქეოლოგია –

სწივ კედი: ეს ფაქტი თუ დადასტურდა, არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიას შეცვლის...

დაეფინანსებინათ. ყველა მოლაპარაკება უკვე დამთავრებულია. ოქსფორდის, პენსილვანიის და მიჩიგანის უნივერსიტეტებიდან დაფინანსება უკვე უზრუნველყოფილია. ქართული მხრიდან კი საქმეში ფონდი „ქართუ“ ჩაერთო და ისინიც ჩვენს გვერდითაა. სამუშაო უზარმაზარია, რომელიც შეიძლება წლები გაგრძელდეს. ამ ერთ კვირაში ჩვენ სამხრეთის ფერდობის მცირე მონ-



დაეფინანსებინათ. ყველა მოლაპარაკება უკვე დამთავრებულია. ოქსფორდის, პენსილვანიის და მიჩიგანის უნივერსიტეტებიდან დაფინანსება უკვე უზრუნველყოფილია. ქართული მხრიდან კი საქმეში ფონდი „ქართუ“ ჩაერთო და ისინიც ჩვენს გვერდითაა. სამუშაო უზარმაზარია, რომელიც შეიძლება წლები გაგრძელდეს. ამ ერთ კვირაში ჩვენ სამხრეთის ფერდობის მცირე მონ-

აკვეთიც გავწმინდეთ და იქაც მონოლითების იგივე წყობაა. უკვე ეჭვიც არაა, რომ საქმე გვაქვს ან ყორღანულ უზარმაზარ ნაგებობასთან (და არა მიწაყრილთან, როგორც ეს წინააზიურ ცივილიზაციაში გვხვდება) ან, უფრო დიდი ალბათობით, პირამიდული ტიპის სამარხთან. თუ ეს ყველაფერი დადასტურდა, არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიას შეცვლის...

ამ საუბრის შემდეგ ჩვენ უშუალოდ, ის ადგილები ვნახეთ, სადაც მცირე სამუშაოები ჩატარებული. მონოლითები, მართლაც აშკარად ჩანს. ესაა 4-5 ტონიანი, უზარმაზარი ნაკვეთი ქვები, რომელიც 20 გრადუსიანი დახრილობით ზემოთ მიემართება და ზედ სხვადასხვა ფიგურებია დატანილი. ამ ეტაპზე, ცუდი ამინდების გამო, მუშაობა შეჩერებულია, თუმცა, აპრილის შუა რიცხვებიდან, აქ სრული მასშტაბით დაიწყება სამუშაოები. სხვათაშორის, სამუშაოებს ასზე მეტი მუშახელი დასჭირდება და ბატონმა სტივმა გვთხოვა, გვეცნობებინა მოსახლეობისათვის. ასე, რომ ვისაც მუშაობის სურვილი აქვს, შეუძლია ამ ექსპედიციას მიაკითხოს ხაშურში, რუსთაველის ქ. №142-ში, სადაც მათი ოფისი მდებარეობს, ან უშუალოდ სოფელ დამხეულაში.



ერთსდა დავამატებთ მხოლოდ: დმერთმა ქნას, ბატონი სტივის და სხვა მეცნიერების პროგნოზი დადასტურდეს და თუ ეს მართლაც მოხდა, ხაშური არამარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბითაც ერთ-ერთ უმსხვილეს ტურისტულ ჰაბად იქცევა. ჩვენი გაზეთი კი, რა თქმა უნდა, მუდმივად მიაღწენებს თვალს გათხრებს და, პერიოდულად, მკითხველსაც შესთავაზებს რეპორტაჟებს აღნიშნული ობიექტიდან. გოგი გოგოლაძე

– სიახლე –

მუშის ქარხანა გაიყიდა

თითქმის ოცწლიანი ინტერვალის შემდეგ, 2021 წელს, შუშის ქარხანა ახალ სიცოცხლეს დაიწყო. ეს ინფორმაცია სულ ახლახანს გააერთიანა ეკონომიკის სამინისტრომ. ჩვენ, პირველ რიგში, ქარხნის მფლობელს, ბიზნესმენ გელა ბახტაძეს დავეუკავშირდით და ვთხოვეთ კომენტარი გაეკეთებინა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

- ბატონო გელა, ეკონომიკის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ ხაშურის შუშის ქარხანა მისმა მფლობელმა გაასხვისა. თქვენი კომენტარი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით...
- პირველ რიგში, ვადასტურებ ამ ფაქტს. დიახ, ამიერიდან ქარხნის მფლობელი წყლის ჩამომსხმელი ფრანგული კომპანია „ვოშია“.
- რა ვალდებულებებს კისრულობს ეს კომპანია?
- იცით, ჩემთვის უხერხული იქნება სხვა კომპანიის გეგმებზე საუბარი. უკეთესია თუ უშუალოდ ამ კომპანიის წარმომადგენლობას დაუკავშირდებით...



- კარგით, ამას აუცილებლად გავაკეთებთ, მანამდე კი თქვენ გვიბასუხეთ: როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქარხანას მეწილეებიც ჰყავდა მუშა-მოსამსახურეების სახით და აქციების გარკვეულ რაოდენობას ისინიც ფლობენ. ამ გარიგებიდან ისინიც თუ მიიღებენ სარგებელს?
- რა თქმა უნდა! ყველა აქციონერი, თავისი წილის შესაბამისად, მიიღებს გარკვეულ საზღაურს.
- რა თანხად გაიყიდა ქარხანა?
- ეს კომერციული გარიგებაა და არ ვთვლი საჭიროდ, რომ გავახმოვანო. ჩვენი დიალოგი ამით ამოიწურა. თუმცა, სანდო წყაროსაგან ჩვენ დამატებითი ინფორმაციებიც მოვიძიეთ. ქარხანა, როგორც ჩვენი ინფორმაციით ადასტურებს, 4,5 მილიონ დოლარად გაიყიდა. „ვოში“ აქ, იგივე პროფილს, ულ-

ტრათანამედროვე ქარხნის აგებას გეგმავს, სადაც 230 კაცი დასაქმდება და წელიწადში მისი წარმადობა 800 მილიონი ბოთლი იქნება, აქედან 350 მილიონი ბოთლი „ბორჯომის“ ჩამომსხმელ კომპანიას, 200 მილიონი – „კოკა-კოლას“ კომპანიას, დანარჩენი კი საქართველოში და სომხეთში დენისა და კონიაკის მწარმოებელ სხვადასხვა კომპანიებს მიეწოდება. სხვათაშორის, „ვოში“ დიდი ხანია სურდა ამ ქარხნის შექმნა, მაგრამ მთავარი პრობლემა სილიკატები იყო. ექვსი თვეა ისინი სურამის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სილის ყოფილ კარიერს სწავლობენ. საბოლოოდ, ლაბორატორიულად დადასტურდა, რომ აღნიშნულ კარიერზე მოპოვებული სილიკატები სრულიად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას. მათ უკვე აიღეს ლიცენზია გარემოს დაცვის სამინისტროსგან და აღნიშნულ მონაკვეთზე სილის მოპოვებას განაახლებენ, რაც ქარხნის გარდა, კიდევ შექმნის 40 სამუშაო ადგილს. ამ პერიოდში უკვე მცირე დეტალების შეთანხმებულა მიმდინარეობს. მაისის ბოლოს კი ქარხნის მშენებლობა დაიწყება, რომელიც 2020 წლის ბოლოს დასრულდება, 2021 წლის დასაწყისში კი პირველ პროდუქციას გამოუშვებს. გაისად, ასევე დაგეგმილია 60 მომსახურე პერსონალის საფრანგეთში გაშვება, სადაც ისინი სამთვიან გადამზადებას გაივლიან



ფრანგულ ქარხნებში. ბოლო შეხვედრაზე, ეკონომიკის სამინისტროში, მიწვეული იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მათი თხოვნა გაითვალისწინა „ვოში“ კომპანიამ და ქარხანაში დასაქმებული მუშახელის 80 პროცენტი ადგილობრივი იქნება. მაშ ასე! ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკას, სულ ჩქარა, ახალი სისხლი შეემატება, რომელიც აუცილებლად იმ კატალიზატორის როლს ითამაშებს, რომელმაც აღორძინებას უნდა დაუდოს სათავე. და ერთიც: ახალი კანონმდებლობით, საწარმო, რომელიც 300 კაცზე ნაკლებს ასაქმებს, აღარ ითვლება მსხვილ გადახდელად, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი შუშის ქარხნის გადასახადები აღარ წავა ცენტრალურ ბიუჯეტში და მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტში დარჩება. ეს კი ჩვენს ბიუჯეტს, დამატებით, 30-40 მილიონ ლარს მოუტანს. ასეთი თანხმები კი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, სულ მცირე, გაახსოვდება.

გოგი გოგოლაძე

სურათზე: ასეთი იქნება ახალი შუშის ქარხანა.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი, ქალბატონი დალი ხაჩიძე, კარგა ხანია, საქართველოში 1804 წლის კამერალური აღწერის მასალებს იკვლევს. დღეს მკითხველს მისი ნაშრომის იმ ნაწილის საგაზეთო ვარიანტს ვთავაზობთ, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს უკავშირდება. ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომი არა მარტო სპეციალისტებს, არამედ მკითხველთა ფართო წრესაც დააინტერესებს.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, უცნობია როდის შემოიღეს საქართველოში მოსახლეობის აღწერა. თუმცა, საისტორიო თხზულებებში გვხვდება ტერმინი - „აღწერა“. მაგ. ჟამთააღმწერელს მოთხრობილი აქვს მონღოლთა მიერ საქართველოში წარმოებული აღწერის შესახებ, არის სხვა მაგალითებიც. იმ წიგნსა და საბუთს, რომელშიც აღწერის მონაცემები შექმნილია „დავთარი“ ერქვა და მოსახლეობის აღწერის გარკვეული წესებიც არსებობდა. ეს წესი სამეფოს ოთხ სადროში, ან სასარდლოდ დაყოფის პრინციპზე ყოფილა დამყარებული და აღწერის მონაცემები ოთხ დავთარში უნდა ყოფილიყო განთავსებული. არსებობდა დებულება, აღწერის შესახებ და აღწერის წესები. არსებული წესით მოსახლეობის აღწერები შვიდ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო, შესაბამისად, არსებობდა სხვადასხვა პერიოდის აღწერის ბევრი დავთარი.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საინტერესოა, ზემო ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები, რომელთაგან უძველესად მიჩნეულია ზ.ქართლის აღწერის დავთრის 4 მონაკვეთი. ერთ მონაკვეთში ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ცნობები სოფლების : სატივის, წაბლოვანის, ქინძათის, კლდისწყაროს მოსახლეობის შესახებ.

1721 წელს, ვახტანგ VI ბრძანებით განხორციელებული ქართლის სამეფოს ოთხივე სადროშოს აღწერის დავთრებიდან მხოლოდ მეწინავე სადროშოს დავთარია შემორჩენილი, შესაბამისად, ჩვენი რეგიონის შესახებ ცნობებიც, ბუნებრივია, არ არის.

მე-19 საუკუნის დამდეგიდან, რუსეთის ხელისუფლება შეუდგა ქვეყნის ფისკალურ-კონომიკურ შესწავლას. მათ არ აკმაყოფილებდათ სავარაუდო ცნობები. მართალია, თავს უყრიან წინანდელ ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერათა მასალებს, აწარმოებენ ძველ სახელმწიფო მოხელეთა დაკითხვებს და სხვა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ამ გზით მიღებული ცნობებით სრულყოფილების მიღწევა შეუძლებელი იყო. ამიტომ, ცარიზმის ხელისუფლება, იმთავითვე, ხელს კიდებს - საკუთარი აპარატის მეოხებით მოიპოვოს საჭირო და მისთვის სანდო ცნობები.

პირველი კამერალური აღწერა თბილისის გუბერნიისა მოხდა 1802 წლის 2 აპრილს, გენერალ ციციანოვის მიერ გამოცემული ცირკულარის საფუძველზე. ამ ცირკულარით მაზრის ხელმძღვანელებს დაევალიათ სოფლის მოსახლეობის აღწერა. აღწერა და მასალების დამუშავება დამთავრდა 1805 წელს.

აღწერილ იქნა თბილისის მთელი გუბერნია - მათ შორის გორის მაზრა, მასში შემავალი ხაშურის მიმდებარე სოფლები, რაც წარმოადგენს ჩვენი ინტერესის საგანს. კამერალური აღწერები მოიცავდა მხოლოდ გადამხდელ მოსახლეობას, არ ეხებოდა პრივილეგირებულ წოდებებს, შეიარაღებულ ძალებსა და უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებს. პირველი კამერალური აღწერა დასრულდა 1805 წელს და შეკრებილი სტატისტიკური მასალის საფუძველზე, საქართველოს უმაღლესმა მთავრობამ 1806 წელს შეადგინა გენერალური უწყება, საქართველოს გადამხდელი მოსახლეობის რიცხოვნების შესახებ.

საისტორიო ცენტრალური არქივიდან ამოვიღეთ 1803-1805, 1816- 1818 , 1831-1832 წლების კამერალური აღწერების მასალები, რომლებიც შედგენილია რუსულ ენაზე და ეხება ჩვენს რეგიონს. ეს მასალები ვთარგმნეთ და გავარჩიეთ. ის შეიცავს საინტერესო ცნობებს ჩვენი რაიონის სოფლების, ზოგადად, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, ოჯახების სულადობის, მათ მფლობელობაში მყოფი საბატონო, სახაზინო, საეკლესიო ან საკუთარი ნასყიდი მიწების, ოჯახების მეურნეობის, საქმიანობის სახის, მოცულობის, გადასახადების შესახებ. წარმოადგენს იდეალურ ოჯახების სტრუქტურაზე, გენდერულ სტატისტიკაზე, გარდა მიწათმოქმედებისა, რა სახის ხელობას ფლობენ ეს ადამიანები, სად მსახურობენ, მოჯამავირობენ თუ ეწევიან მეურნეობას. ჩანს მებატონეების დამოკიდებულება საკუთარი გლეხების მიმართ. საინტერესო მასალაა 1811 წლის საეკლესიო რეფორმა და სოფლების მოსახლეობის რეაქცია ამ მოვლენაზე დ. ა. შ.

რაც შეეხება, კონკრეტულად, 1804 წლის კამერალურ აღწერას, ის არის უფრო ზოგადი ვიდრე შემდგომი წლების აღწერები. სულ 11 სოფელია აღწერილი ჩვენი რეგიონიდან. საერთოდ, ეს აღწერა ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით, შემოდის აბსურდული დეფინიცია - იმერლები, ქართველები. ცნობილია, რომ ასეთ მიდგომას მძაფრი რეაქცია მოჰყვა საქართველოში, თუმცა, მომდევნო აღწერების დროს, ეს მიდგომა არ შეცვლილა. ქვემოთ მოგვყავს შესაბამისი მასალა.

სოფელი ჭალა ა. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 110 ვერსის მანძილზე. აღწერილია - თავად გიორგი აბაშიძის 23 კომლი, 69 მამაკაცი, 57 ქალი, სულ 126 სული. აზნაურ დავით სავანელოვის (სავანელის) იმერლები 3 კომლი, 13 მამაკაცი, 7 ქალი, სულ 20 სული. აზნაურ გრიგოლ აბაშიძის 1 კომლი, 1 მამაკაცი, 2 ქალი, სულ 3 სული. მისი გლეხები: 3 კომლი, 10 მამაკაცი, 6 ქალი, სულ 16 სული.

ასევე ივანე სავანელიშვილის, თავად ევგენი აბაშიძის, თავად ესტატე ციციანოვის, თავად ლევან ციციანოვის გლეხები, აზნაურისაგან გამოქცეულ გლეხ რაჭველიშვილის 1 კომლი.

ამ დროისათვის სოფელ ჭალაში აღწერილია 39 კომლი, 127 მამაკაცი, 100 ქალი, ე.ი. სულ 227 სული. ყველა ქართველი.

აღწერიდან ჩანს, რომ სოფელ ჭალაში, საშუალოდ, კომლში ხუთზე მეტი სულია. ხნავენ 125 დღიურ მიწას, გრაფაში -სამეურნეო საქმიანობისათვის სხვა რა საშუალებები აქვთ - ზოგადად მითითებულია,

რომ ვენახები არ აქვთ, ტყე მარხილით საზიდი შეშისათვის საკმაოდ აღნიშნულია, რომ თევზის ჭერით აძლევენ გამოსაღებს მებატონეებს, თუმცა ასევე იხდიან მარცვლეულითაც.

სოფელი ხაშური. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 118 ვერსის მანძილზე.

თავად მამუკა ხიდობეგიშვილის 9 კომლი, 51 სული, მისი ერთი აზნაური, 5 სული, თავად ბეგთაბეგოვის 3 კომლი, 31 სული, აზნაურ პეტრე აბაზაძის ერთი კომლი, 5 სული, დარეჯან დედოფლის 12 კომლი, 71 სული. ამ დროისათვის, სოფელ ხაშურში აღწერილია 26 კომლი, 95 მამაკაცი, 68 ქალი, სულ 163 სული. ყველა ქართველი.

ამ სოფელში, საშუალოდ კომლში ექვსზე მეტი სულია. გრაფაში აქვთ თუ არა მიწები, მითითებულია 300 დღიური სახნავი, ცოტა ქვემოთ - 100 დღიური. გამოდის, რომ სახნავ - სათესი მიწა ბევრია. გარდა საბატონო მიწისა, გლეხებს არ გააჩნიათ არავითარი საშუალება სამეურნეო საქმიანობისათვის. შესაბამისად, ისინი ძირითადად მისდევენ ხვნა-თესვას. არის 2 წისკვილი, 2 ბაღი, სადაც მოჰყავთ 100 კოკა ღვინო. ტყე საკმაოდ.

სოფელი ცხრაშუხა. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 120 ვერსის მანძილზე.

თავად ევგენი აბაშიძის 19 კომლი, სულთა რაოდენობა: 62 მამაკაცი და 61 ქალი, სულ 123 სული. თავად ელე თათალოვის იმერლები 1 კომლი, სულთა რაოდენობა: 6 მამაკაცი, 4 ქალი, სულ 10 სული. თავად ამილახერის 1 კომლი, სულთა რაოდენობა : 2 მამაკაცი, 1 ქალი, სულ 3 სული. თავად ოთარ ამილახერის 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, სულ 5 სული ოულონ ბატონიშვილის 1 კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი, სულ 11 სული. ჯამში, 23 კომლი 152 სული, 79 მამაკაცი, 73 ქალი.

არაქართული მოსახლეობა არ არის. კომლის სულადობის საშუალო მაჩვენებელი შეიძლება მეტია. აღწერის გრაფაში, აქვთ თუ არა მიწა, ზოგადად აღნიშნულია, რომ აქვთ 194 დღიური სახნავ-სათესი. ტყე საზიდი შეშისათვის საკმარისია, გლეხებს არ გააჩნიათ არავითარი სხვა საშუალება სამეურნეო საქმიანობისათვის, არაფერია ნათქვამი თევზჭერის შესახებ.

სოფელი ოსიაური. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 115 ვერსის მანძილზე.

თავად გოგია ვეზიროვის ქართველები, 10 კომლი, 52 მამაკაცი (დასასრული IV გვერდზე)

1804 წლის კამერალური აღწერა ხაშურის რაიონში



ხაშური. XIX საუკუნის 80-იანი წლები



სურამი. XIX საუკუნის 80-იანი წლები

სალები ვთარგმნეთ და გავარჩიეთ. ის შეიცავს საინტერესო ცნობებს ჩვენი რაიონის სოფლების, ზოგადად, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, ოჯახების სულადობის, მათ მფლობელობაში მყოფი საბატონო, სახაზინო, საეკლესიო ან საკუთარი ნასყიდი მიწების, ოჯახების მეურნეობის, საქმიანობის სახის, მოცულობის, გადასახადების შესახებ. წარმოადგენს იდეალურ ოჯახების სტრუქტურაზე, გენდერულ სტატისტიკაზე, გარდა მიწათმოქმედებისა, რა სახის ხელობას ფლობენ ეს ადამიანები, სად მსახურობენ, მოჯამავირობენ თუ ეწევიან მეურნეობას. ჩანს მებატონეების დამოკიდებულება საკუთარი გლეხების მიმართ. საინტერესო მასალაა 1811 წლის საეკლესიო რეფორმა და სოფლების მოსახლეობის რეაქცია ამ მოვლენაზე დ. ა. შ.

(დასასრული)

ცი, 24 ქალი, სულ 76 სული, ჯავახეთიდან გადმოსული ქართველები, 5 კომლი, 14 მამაკაცი, 15 ქალი, სულ, 15 კომლი, 67 მამაკაცი, 39 ქალი, 106 სული.


გრაფაში, აქვთ თუ არა მიწა, აღნიშნულია, რომ მიწა საკმაოდ ბევრი აქვთ, 2000 დღიურზე მეტი. ეწვეიან ხენა - თესვას, კვირაში ორ დღეს მუშაობენ მებატონესთან, ტყე საკმაოა, აქვთ 1 წყლის წისქვილი, იხდიან 5 კოდ პურს.

სოფელი ალი. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 112 ვერსის მანძილზე.

სახაზინო გლეხები -13 კომლი, 72 სული, სამრევლო გლეხები: იმერლები - 9 კომლი, 54 სული, ქართველები - 12 კომლი, 88 სული, თავად გორგასალ ჩხეიძის 11 კომლი - 105 სული, ჩხეიძეების 14 კომლი - 96 სული, თავად პეტრე ბეგთაბეგოვის 1 კომლი - 7 სული, თავად ივანე დავითაშვილის (დავითაშვილის) 1 კომლი - 11 სული, თავად ხერხეულიძის 2 კომლი - 11 სული. აზნაურ მახვილაძის 2 კომლი, 9 სული. ჯამში 67 კომლი, 459 სული. (ყველა ქართველია, აქაც, ჩანაწერებში გრძელდება დეფინიცია - იმერელი - ქართველი).

უმრავლესობას ამ სოფელში არ აქვს არც საკუთარი, არც სახ-

1804 წლის კამერალური აღწერა ხაშურის რაიონში



იტრია. XIX საუკუნის 90-იანი წლები

აზინო მიწა, სარგებლობენ ბატონებისაგან. მხოლოდ მცირე ნაწილს, მაგ, თავად ბეგთაბეგოვის 1 ცხრასულიან კომლს აქვს 15 დღიური საბატონო მიწა, ასევე, ივანე დავითაშვილის 1 თერთმეტსულიან კომლს აქვს 40 დღიური. ტყე საკმარისია. ეწვეიან ხენა - თესვას, მუშაობენ ბატონთან კვირაში 2 დღეს, გლეხები ვაჭრობენ წვრილმანი საგნებით, მისდევენ ხელოსნობას, იხდიან გამოსაღებს, 7 კოდ პურს, საზრდობენ ასევე რეწვით, ვაჭრობით.

სოფელი ტეხერი. დაშორებულია საგუბერნიო ქალაქიდან 126 ვერსის მანძილზე.

თავად ეგგენი აბაშიძის 9 კომლი, 15 მამაკაცი, 10 ქალი, სულ 25 სული, თავად გრიგოლ აბაშიძის აზნაურ, დათიკა ორჯონიკიძის 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, სულ 6 სული, მისი ქვეშევრდომი იმერლები, 5 კომლი, 12 მამაკაცი, 7 ქალი, სულ 19 სული, მისი მსახურები - 1 სული, თავად ეგგენი აბაშიძის აზნაურ ზურაბ ჩხეიძის 1 კომლი, 1 მამაკაცი, 1 ქალი, სულ 2 სული, ასევე აზნაურ ივანე სავანელოვის, აზნაურ დავით სავანელოვის, აზნაურ გლახა ჩხეიძის, აზნაურ მამუკა ჩხეიძის, თითო კომლი, აზნაურ გლახა ყიფიანის ქვეშევრდომი 5 კომლი, იმერეთიდან გამოქცეული, აზნაურ გოგია ნიქაბაძის ქვეშევრდომი 2 კომლი, სულ 33 კომლი, 85 მამაკაცი, 59 ქალი, ჯამში 144 სული.

ამ სოფლის საბატონო მიწების მხოლოდ 30 დღიურია გამოსაღები, დანარჩენი გამოუსადეგარია. არის 6 ვენახი, საიდანაც იღებენ ღვინოს, არაუმეტეს 63 კოკისა, ტყე საკმარისია. გლეხები ეწვეიან ხენა-თესვას, აღსანიშნავია, რომ თავადაზნაურთა რიცხვი დიდია. ისინი აღწერის მიხედვით ფლობენ 1,2 3 .იშვიათად 5 კომლს, მიწებიც როგორც მითითებულია, მცირეა.

სოფელი ბეკამი. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 125 ვერსის მანძილზე.

თავად ეგგენი აბაშიძის იმერლები - 35 კომლი, სულთა რაოდენობა 236, თავად პეტრე ავალოვის 2 კომლი, 14 სული, სახელმწიფო აზნაური 1, სულთა რაოდენობა 4, სულ 38 კომლი, 152 მამაკაცი, 102 ქალი, ჯამში 254 სული. აღსანიშნავია, რომ 38 კომლიდან 35 იმერეთიდან გადმოსულია, ე.ი. ბეკამი წინა პერიოდში დაცარიელებული ყოფილა.

გრაფაში აქვთ თუ არა მიწა, წერია, რომ ფლობენ 130 დღიურ სახნავ-სათესს. ვენახები არის 10, რომლებიც იძლევა 170 კოკა ღვინოს. გლეხები მისდევენ ხენა - თესვას. გამოსაღებს იხდიან მეშვიდედს.

ციხე - ქალაქი სურამი. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 221 ვერსის მანძილზე.

„საუკუნის დასაწყისში სურამი მოიხსენიება რუსულ საისტორიო წყაროებსა და დოკუმენტებში, როგორც ციხე-ქალაქი. 1801 წლის 24 იანვრით დათარიღებულ, გენერალ-მაიორ ლახარევის მიერ კრონინგისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ქართ-

ლის სამეფოს დასაგლეით არის ციხე-ქალაქი სურამი. რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგ სურამის ციხეში რუსეთის ჯარის ნაწილები ჩადგა.

კომლთა რაოდენობა ამ აღწერის მიხედვით შეადგენს 129 კომლს, სულთა რაოდენობა 735, მ.შ. მამაკაცია - 400, ქალი - 335. ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, 129 კომლიდან ქართველებია 66 კომლი, - 335 სული, სომხები 51 კომლი - 300 სული, ებრაელები 14 კომლი - 110 სული ე. ი . 735 სულიდან ქართველებია -335, სომხები - 300, ებრაელები -110. საშუალოდ ერთი ქართული კომლი ხუთსულიანია, სომხური - ექვსსულიანი, ხოლო ერთი ებრაული კომლი - რვასულიანი.

129 კომლიდან თითქმის ნახევარი, 63 კომლი, სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებია, დანარჩენები შეადგენენ სახელმწიფო აზნაურ მურვან მურვანიშვილის, ლუარსაბ მურვანიშვილის, აზნაურ აბაზაძეების, თავად ჯიქი თარხანოვის, თავად სოლომონ თარხანოვის, თავად ბეგთაბეგოვის, თავად გიორგი აბაშიძის, თავად ეგგენი აბაშიძის(მისი გლეხების ჩვენებით, ისინი არიან არაგვის საერისთავოს წმინდა დვითისმშობლის (ალბათ ეკლესიის -დ.ხ.) გლეხები.) აზნაურ ივანე სავანელოვის, აზნაურ გლახა ჩხეიძის,(აბაშიძის აზნაური), თავად სეხნია ჩხეიძის, თავად იტრიელი ჩხეიძეების, თავად ქაიხოსრო ხიდირბეგოვის, თავად ტეტია ხიდირბეგოვის გლეხები. აღწერიდან ჩანს, რომ სურამში მიწას და შესაბამისად, გლეხობას ფლობს თავადაზნაურთა საკმაო რაოდენობა. 129 კომლიდან 66-ს ფლობენ 15 - მდე გვარის თავად-აზნაურები. შესაბამისად, თითოეულის კუთვნილი კომლთა რიცხვი მცირეა და მერყეობს 1,2,3, იშვიათად, 6,7,11 - მდე, (თითო შემთხვევა).

მიწების რაოდენობა პირველი კამერალური აღწერისათვის (არა მხოლოდ სურამის შემთხვევაში) დაკონკრეტებული არ არის კომლთა მიხედვით. ზოგადად, აღნიშნულია, რომ მიწები ამ ციხე - ქალაქის მცხოვრებთათვის შეადგენს 118 დღიურს, რაც საკმაოდ მცირეა 129 კომლიანი ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულისათვის. კითხვაზე გრაფაში - სხვა რა სარგებელი აქვთ, მითითებულია, რომ საბატონო ტყეები საკმარისია, რომ გლეხები სარგებლობენ უსასყიდლოდ. აღწერის გრაფაში შეკითხვაზე, თუ რისი სიუხვეა, ან რით საზრდობენ დამატებით გლეხები, აღნიშნულია, რომ ეწვეიან მესაქონლეობას, სომხები ვაჭრობენ სხვადასხვა წვრილმანით, მისდევენ სხვადასხვა ხელობას, რომ სურამში აქვთ ვენახები, საიდანაც წელიწადში საშუალოდ იღებენ 500 კოკა ღვინოს. (მომდევნო კამერალურ აღწერებში დაკონკრეტებულია ითოეული კომლის საქმიანობა, ქონება, შემოსავალი, დ.ა.შ.)

სოფელი გვერდისუბანი. მდებარეობს საგუბერნიო ქალაქიდან 125 ვერსის მანძილზე.

თავად გრიგოლ აბაშიძის იმერლები, 5 კომლი, 18 მამაკაცი, 16 ქალი, სულთა რაოდენობა - 34. თავად ეგგენი აბაშიძის 3 კომლი, სულთა რაოდენობა 20, თავად გიორგი ჩხეიძის იმერლები 1 კომლი - 8 სული, აზნაურ ზურაბ მაღრაძის 2 კომლი, 17 სული, თავად ესტატე ციციანოვის იმერლები 1 კომლი, 6 სული, აზნაურ გაბრიელ (გვარი არ იკითხება-დ.ხ.), ---ის 1 კომლი, 6 სული, სახაზინო გლეხი, იმერელი, 1 კომლი -9 სული. ჯამში, 14 კომლი, 100 სული, 55 კაცი, 45 ქალი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სოფელში ყველა კომლი იმერეთიდანაა გადმოსული, გამოდის რომ მანამდე ეს სოფელი დაცარიელებული იყო, ალბათ, ამითვე აიხსნება, სხვა აღწერილ სოფლებთან შედარებით მრავალსულიანი კომლთა სიმრავლეც, 7 - 8 სულიანი. ყველა კომლში და შესაბამისად, სულადობაშიც ჭარბობენ მამაკაცები.

გრაფაში, აქვთ თუ არა მიწები, მითითებულია, რომ მიწას ქირაობენ აბაშიძეებისაგან, 40 დღიურს. ეწვეიან ხენა-თესვას, ტყე არ არის, ვენახებიდან იღებენ 43 კოკა ღვინოს, სხვა არავითარი საშუალება სამეურნეო საქმიანობისათვის არ აქვთ. გამოსაღებს იხდიან 6 კოდ პურს.

სოფელი ხინდისი. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 125 ვერსის მანძილზე.

სახელმწიფო აზნაურ ბეჟან აბაზაძის იმერლები, 11 კომლი, 43 მამაკაცი, 28 ქალი, სულთა რაოდენობა 71, ასევე, აზნაურ რევაზ აბაზაძის 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, სულთა რაოდენობა - 3. სულ 12 კომლი, 45 მამაკაცი, 29 ქალი, ჯამში 74 სული.

აქაც ნათლად ჩანს, რომ აქტიურად მიდის პროცესი ლიხისმთის-პირა სოფლებში იმერეთიდან მოსახლეობის გადმოსვლის, რომელიც გაგრძელდა აქედან მოყოლებული, საბჭოთა ხელისუფლების მთელი არსებობის მანძილზე და რომელსაც ჰქონდა თავისი მიზეზები და შესაბამისად, შედეგებიც. ეს ცალკე თემაა.

აღწერის გრაფაში - აქვთ თუ არა მიწა, მითითებულია, რომ მიწები არ აქვთ და ქირაობენ თავად ჩხეიძეებისაგან. ტყე საკმარისია, მაგრამ მოუხერხებელი, კითხვაზე, რა აქვთ უხვად, რითი საზრდობენ, აღნიშნავენ, რომ ეწვეიან ხენა - თესვას, მაგრამ სიუხვე, ნამატი არ აქვთ.

სოფელი იტრია. საგუბერნიო ქალაქიდან დაშორებულია 128 ვერსის მანძილზე.

კომლთა რაოდენობა - 8, თავად სეხნია ჩხეიძის იმერლები - 2 კომლი, თავად გორგასალ ჩხეიძის იმერლები - 4 კომლი, თავად გიორგი აბაშიძის იმერლები - 1 კომლი, სულთა რაოდენობა - 50, მამაკაცი - 26, ქალი - 24

როგორც აღწერიდან ჩანს, პირველი კამერალური აღწერის, ე.ი. 1804 წლისათვის, სოფელ იტრიაში ცხოვრობდა მხოლოდ იმერეთიდან გადმოსული მოსახლეობა. როგორც ჩანს, ეს სოფელიც დაცარიელებული ყოფილა. აღწერაში, ზოგადად, მითითებულია, რომ აქვთ 13 დღიური საბატონო მიწა, ხოლო გრაფაში, სხვა რა სარგებელი აქვთ, ასევე ზოგადადაა აღნიშნული, რომ ტყეები განსაკუთრებით ბევრია.

მიუხედავად ხარვეზებისა, 1804 წლის კამერალურ აღწერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტი, რომელიც მეტნაკლები სისწორით გვაწვდის ცნობებს, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათწლეულში ხაშურის რეგიონის ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის, მიგრაციული პროცესების

2018 წლის I-ლი ოქტომბრიდან, საქართველოში, პოლიეთილენის პარკების წარმოება, გამოყენება და იმპორტი აკრძალა. თავდაპირველად, აკრძალვა თხელ, 15 მიკრონზე (0.15 მმ) ნაკლები სისქის, ე.წ. ერთჯერად პარკებს შეეხო. 2019 წლის 1 აპრილიდან კი, აკრძალვა ნებისმიერი სისქის არაბიოდეგრადირებადი პოლიეთილენის პარკების წარმოებას და გამოყენებას შეეხება. საქართველოს ბაზარზე არსებული პოლიეთილენის პარკების დაახლოებით 40 პროცენტი სწორედ 15 მიკრონზე ნაკლები სისქისაა. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, საქართველო პირველი ქვეყანა გახდება რეგიონში, სადაც პოლიეთილენის პარკების გამოყენება აკრძალეს. 2018 წლის 14 სექტემბრის დადგენილების მიხედვით, იკრძალება მხოლოდ პოლიეთილენის პარკები. ისინი ჩანაცვლება ბიოდეგრადირებადი პარკებით. ანუ, მაღაზიაში თქვენ ცელოფანს ისევე მოგცემენ, თუმცა ის არა პოლიეთილენის, არამედ ბიოდეგრადირებადი მასალისგან დამზადებული იქნება.



დღეიდან პოლიეთილენის პარკების წარმოება, გამოყენება და იმპორტი იკრძალება

დოკუმენტში, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი მაშუკა ბახტაძე აწერს ხელს, წერია რომ რეგულირების მიზანია “პლასტიკის პარკების მოხმარებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გამოწვეული მავნე ზემოქმედების შემცირება”. გარდა ამისა, ეს ის რეგულაციაა, რომელსაც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს.

ვიზუალურად ბიოდეგრადირებადი პარკი ჩვეულებრივი პოლიეთილენის პარკისგან თითქმის არ განსხვავდება,

ჩვეულებრივ “ცელოფანს” ჰგავს და ნაკლებად გამძლეა, მისი უპირატესობა იმაშია, რომ განსხვავებით პოლიეთილენის პარკისგან, პარკი 3-6 თვეში იწყებს გარემოში დაშლას და 12-24 თვეში სრულად იშლება. ახალი წესის თანახმად, ბიოდეგრადირებად პარკებზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი სავალდებულო ინფორმაცია: პლასტიკის პარკის მწარმოებელი; პლასტიკის პარკის სისქე; პლასტიკის პარკის შემადგენლობა. ეს წარწერა გაკეთდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაბამისი ორგანოები შეამოწმებენ პარკს და დაადგენენ, რომ ის

ბიოდეგრადირებადია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მისი თვითღირებულება მეტია და შედარებით ძვირიც ეღირება.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება პოლიეთილენის პარკის წარმოება ან სავაჭრო ქსელში გამოყენება, ასეთ შემთხვევაში, დაჯარიმდებით. არაბიოდეგრადირებადი პოლიეთილენის პარკის წარმოებისთვის, გამოყენებისთვის ან ქვეყანაში შემოტანისთვის გასული წლის I-ლი ოქტომბრიდან, ჯარიმა უკვე პირველჯერზე 500 ლარით, ხოლო განმეორების შემთხვევაში 1000 ლარით განისაზღვრება. შესაბამისი ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უკვე შევიდა. მაკონტროლებლის ფუნქციები რამდენიმე უწყებაზეა გადატანილი:

პარკების მწარმოებლებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; გარემოსდაცვითი პარკების იმპორტიორებს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო პარკების რეალიზატორებთან (მაღაზიები, ავთიაქები და ა.შ.) ბრძოლა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პრეროგატივა იქნება.

ამ რეგულაციასთან დამოკიდებულია არაერთ გეგაროვანია მომხმარებლებში. მათი ნაწილი უარყოფითად აფასებენ ამ ფაქტს და აღნიშნავენ, რომ ეს მათთვის დამატებითი ხარჯია, რაც მათი ოჯახის ბიუჯეტზე ცუდად აისახება, ხოლო ნაწილი, მიუხედავად გაზრდილი დანახარჯისა, ეკოლოგიური საფრთხის თვითდასაცავად ერთადერთ გზას, გამკაცრებულ რეგულაციებში ხედავს. რაც შეეხება სავაჭრო ობიექტების მეპატრონეებს, ისინი 1 აპრილიდან სრულ მზადყოფნას აცხადებენ.



- სიახლე -

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები ტექნიკის შეძენას 50 პროცენტით ფასდაკლებით შეძლებენ

უკვე, აღარავინ დაობს იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საწინდარია. ძლიერი სოფელი ბაზისია იმ უმნიშვნელოვანეს საქმისა, რასაც მთავრობა ბოლო წლებში წარმატებით ახორციელებს, უფრო კონკრეტულად კი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ბოლო წლებში, უამრავი პროექტი და პროგრამა შეიმუშავა სამინისტრომ სოფლის ასაღორძინებლად. „დანერგე მომავალი“, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „ახალგაზრდა მეწარმე“ და სხვა მრავალი ის პროექტებია, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებს აღნიშნულ საქმეში. ფერმერები და სოფლის მეურნეობით დაინტერესებული პირები გრძნობენ მხარდაჭერას და თანადგომას სახელმწიფოს მხრიდან და მონდომებით ერთვებიან ამგვარ პროგრამებში, საკმაოდ წარმატებითაც. 28 მარტიდან კი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა დაიწყო. პროექტების მართვის სააგენტო ფერმერებს სთავაზობს ტექნიკის შეძენას 50%-იანი თანადაფინანსებით, ამ თანხის მინიმალური ზღვარი კი 150 000 ლარია ერთ ბენეფიციარზე. პროგრამის განსახორციელებლად ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარია გამოყოფილი. პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ან საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირი (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი), რო-



მელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს, პაის ან აქციას. უფრო დაწვრილებით და კომპეტენტური პასუხების მისაღებად, მიმართეთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს.



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ჩვენს მუნიციპალიტეტში, 844 ათასი ლარი დაიხარჯება

ლობრივმა მცხოვრებლებმა, საერთო კრებებზე, ხმათა უმრავლესობით პრიორიტეტები დაასახლეს. პროექტების ნუსხა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ შესათანხმებლად წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგინა და 2019 წლის 20 თებერვლის სხდომაზე №15 განკარგულებით დამტკიცდა. სკოლების, საბავშვო ბაღების, სოფლის სასაფლაოების და სტადიონების კეთილმოწყობა, სასმელი წყლის, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, გარე განათების სისტემების მოწყობა-ეს იმ ინფრასტრუქტურული პროექტების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. უახლოეს პერიოდში კი გამოცხადდება ტენდერები პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვის მიზნით. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“, რომლის ბიუჯეტიც 40 მილიონამდე ლარია, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი აფინანსებს.

მიმდინარე წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“, ჯამში 844 000 ლარის ღირებულების, 80 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. მუნიციპალიტეტის 12 ადმინისტრაციული ერთეულის 71 სოფელში, ადგი-

☀ ხაშურის „ივერიის“ სტადიონის მშენებლობის თანხა 16 მილიონი

ლოდარით გაიზარდა

იმ ცნობილი გამონათქვამის არ იყოს, ობლის კვერს რომ ესება და ძალიან გვიან გამოცხვება, დაახლოებით, იგივე დაემართა ხაშურის „ივერიის“ სტადიონს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მართლაც ყველაფერი გააკეთა, რომ მისი მშენებლობის თანხები მოეძია და უკვე ცნობილი ფაქტია, რომ ეს პროექტი იწყება კიდევ. თუმცა, სრულიად შეიცვალა და მშენებლობა, რომელიც მისში დაიწყო, სულ სხვა პროექტით განახლდება.

არონ პაპისმედოვი (არონ პაპინი) ისრაელში მოდგაწე ბიზნესმენია. მის საკუთრებაში არსებული მიკროჩიპების მწარმოებელი ფირმა „ლაითსტარ“-ი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესია და ბატონი არონიც, ფორბსის მიხედვით, მსოფლიოს მილიარდებულს შორის 161-ე ადგილზეა 9 მილიარდი დოლარით. მან 1965 წელს დაამთავრა სურამის მეორე საშუალო სკოლა. ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებამდე, ერთი წელი ხაშურის „ივერიაშიც“ თამაშობდა. ისრაელში კი აშდოდის „ბეთარის“ ღირსებას იცავდა 6 წელი. ამჟამად იგი ამ კლუბის მფლობელიცაა. სწორედ ბატონი არონის ინიციატივით მოხდა, რომ „ივერიის“ მშენებლობა 16 მილიონი დოლარით გაიზარდა და, რაც მთავარია, სრულიად შეიცვალა პროექტი. იგი, როგორც ჩვენთვის გასდა ცნობილი, 14 აპრილს ეწვევა ჩვენს მუნიციპალიტეტს და შევეცდებით მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწეროთ. მანამდე კი გეტყვით, რომ ახალი პროექტით, „ივერიის“ სტადიონი 26 ათას მაყურებელზე იქნება გათვლილი და სრულიად დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ებრაული მხარის გადაწყვეტილებით, სტადიონი და მის გარშემო არსებული ინფრასტრუქტურა „ბეთარის“, ერთ-გვარ, საზაფხულო ბაზად იქცევა და ეს კლუბი ივნის-ივლისში მთლიანად ხაშურში გაივლის შეკრებას. როგორც ფეხბურთის ფედერაციაში განაცხადეს, საქართველოს ცენტრში ასეთი სტადიონის არსებობა ძალიან ბევრს ნიშნავს და უკვე იგეგმება, რომ მასზე საქართველოს ნაკრების თამაშებიც გაიმართოს. პროექტის მიხედვით, მინდვრის საფარი ირლანდიიდან ჩამოვა და უმაღლესი



ხარისხის იქნება. ებრაული მხარის დაფინანსებით მოხდება აგრეთვე ფეხბურთის აკადემიის შექმნაც, რომელიც ამ ბაზაზე მოეწყობა და მწვრთნელებად ებრაელი და ესპანელი სპეციალისტები იქნებიან მოწვეული.

მოკლედ, „ივერია“ ახალ სიცოცხლეს იწყებს. ეს კი ჩვენი ფეხბურთისათვის უზარმაზარი ნახტომი იქნება უკეთესობისკენ. ჩვენ კი დაველოდებით ბატონი არონის ჩამობრძანებას და მასთან შეხვედრის შემდეგ, ჩვენც და მკითხველიც უფრო ბევრს შევიტყობთ ამ სიახლის შესახებ.

გოგი გოგოლაძე

სურათზე: ასეთი იქნება „ივერიის“ სტადიონი 2021 წლის ბოლოს



- საქველმოქმედო სადამო - ნუცა ჩიტაძის ნახატების გამოფენა თბილისში

20 მარტს, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მირზა გელოვანის სახელობის ფილიალში, საქველმოქმედო სადამო გაიმართა. სადამოს ერთ-ერთი ორგანიზატორი ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება (დირექტორი მაკა დიდებულიძე) იყო. იგი მიეძღვნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ხაშურის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეს - ნუცა ჩიტაძეს. ბიბლიოთეკაში მოეწყო მისი ნახატების გამოფენა, რომლებიც შეიძინეს მოწვეულმა სტუმრებმა, ხოლო მისი ღირებულებები წაიკითხეს საპატრიარქოს წმინდა ილია

მართლის სახ. თბილისის სკოლისა და წმ. ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეებმა. დონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ტელევიზია „ობიექტივი“-ს ჟურნალისტმა ციცი გურიელმა, მხატვარმა ალექსანდრე ციხელაშვილმა, ასევე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრებმა: გულნაზ ხარაიშვილმა და მანანა ზაზიკაშვილმა. დონისძიებას ესწრებოდა ნუცაც ახლობლებთან ერთად. მან დაამტკიცა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.

საქველმოქმედო სადამოს ფინანსური მხარდაჭერა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურმა და ბიბლიოთეკასთან არსებულმა ამერიკის კუთხემ უზრუნველყვეს.

- ჭიდაობა -

ახალმა სასპორტო კომპლექსმა პირველი „ტესტი“ გაიარა

ახალი სასპორტო კომპლექსი, რომელიც 11 აპრილს გაიხსნა (გზეთის წინა ნომერში ამის შესახებ ვრცელი მასალა გამოქვეყნდა), უკვე მთელი ძალით ამოქმედდა და ამ დღეებში, ასე ვთქვათ, პირველი მნიშვნელოვანი ტესტიც გაიარა: კომპლექსის მართლაც დიდებულ დარბაზში თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ჭაბუკთა შორის, საქართველოს პირველობა გათამაშდა. ორივე სახეობის ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლები, სპორტსმენები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სპორტ-კომპლექსი მართლაც უმაღლესი სტანდარტისაა და მას თავისუფლად შეუძლია უმასპინძლოს უფრო მაღალი რანგის ტურნირებსაც. პირველობაში საქართველოს ყველა რეგიონი მონაწილეობდა და გამარჯვებულებმა, რომლებიც შესაბამისი მედლებით დაჯილდოვდნენ, საქართველოს ნაკრები დააკომპლექტეს. მათ უახლოეს მომავალში, საერთაშორისო ტურნირების გარდა, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში მოუწევთ გამოსვლა, სადაც საქართველოს სახელი უნდა დაიცვან.



გზეთის დღევანდელ ნომერში ამ სიმბოლოთი - ☀ - მონიშნული სტატიები საპირველ-აპრილო ხუმრობებია.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუსიაშვილი.